

რედაქცია

შოლნიის (აბას-აბატის) მედნაზე, შორანოვის სახლებში.

ხელის-მოწერა

რედაქციაში და სტ. მედიკინის სტამბაში. შალაქს ვარეზე მცხოვრებთათვის: Въ Тифлисъ. Въ редакцію газеты „Дროება“.

გაზეთის ფასი

წელიწადში — 8 მან., ნახევარ წელიწადში — 4 მან. და 50 კაპ., თვეში — 1 მან. სალკე ნომერი — ერთი შურტი.

განცხადება

მიიღება ქართულს, რუსულს, სომხურს და თურქულს ენებზე.

განცხადების ფასი

ღიდი ასოებით, ასოზე — 1 კაპ., ასო-მთავრულით, სტრიქონზე — 8 კაპ., ციცეროთი, სტრიქ. — 5 კაპ., პეტიტით — 4 კაპ.

თუ საჭიროება მოითხოვს, რედაქცია გასწორებს და შეამოკლებს გამოგზავნილ ხტატიებსა და უბეჭდელი ხტატია ავტორს არ დაუბრუნდება.

დროება

გამოდის კვირაკლით, ოთხშაბათაკლით და პარასკეაკლით

ნახევარი წლის ხელის-მოწერა

„დროებაზე“

შეიძლება: თ თ ი ლ ი ს შ ი, რედაქციის კანტორაში (ადრესი გაზეთის სათაურში ნახე) და ვარეზე ქალაქებში — „დროების“ აგენტებთან.

ფასი ნახევარი წლის გაზეთისა (ე. ი. 1 ივლისიდან ელვრე 1876 წლის 1 იანვრამდე) გაგზავნილ და გაუგზავნილად — 4 მან. და 50 კაპ.

საქართველო

ამ თავეთვე დაგზადება სჯობიან

თფილისის საადგილ-მამულო ბანკის მდგომარეობა იმ ახლად გაღებული მალაზიის მდგომარეობას ჰგავს, რომელსაც საქონელი ბევრი აქვს, მაგრამ მუშტარი კი ნაკლებათ...

ბანკის საქონელი ფულდება. როგორც ყოველი მალაზიისთვის ხშირად საქონლის გაყიდვა და ყიდვა სასარგებლოა, აგრეთვე ბანკისთვისაც სასარგებლოა ხშირი ოპერაციები, ხშირად ფულების გაცემა და მიღება.

საუბედუროდ, თფილისის ბანკს ამ თავეთ ისეთი დაძაბვლებელი მიზეზი ამოუჩნდა, რომელიც ამ პირველ ოპერაციაში, ესე იგი ფულების გაცემას ცოტა არ იყოს აგვიანებდა. ახლა კი, თ. ძონა მრისთვის საქმის გადაწყვეტი შემდეგ, ეს დაბრკოლება, იმედია, მოიხსნება.

ამისთანავე ბედი მოელის მუთაისის საადგილ-მამულო ბანკსაც, თუ იქაურ თავდაზნაურებმა თფილისის მაგალითით არ ისარგებლეს და არ აიშორეს გზიდან ის ქვეა, რომელზედაც თფილისის ბანკი ცოტათი წაბორძიკდა...

ჩვენი რჩევა, ეს არის:

მუთაისის ბანკის პროექტი, როგორც ისმის, ამ ორ თვეში დამტკიცდება. საზოგადო კრების მოხდენა, გამგეობის ამორჩევა და თვითონ ბანკის გახსნა, უეჭველია, ბევრი-ბევრი მომავალი წლის პირველ იანვრამდე უნდა გათავდეს.

ამ დროს განმავლობაში თავდაზნაურობა ისე უნდა მოემზადოს, რომ ბანკის ოპერაციებს, ბანკის გახსნის თანავე, რაზე დაბრკოლება არ შეხედეს.

იმერეთში თითქმის სულ არ არის მიწები გამოჯნული. თავდაზნაურების მომეტებულ ნაწილს თავიანთი მამულების რიგიანი და დამტკიცებული საბუთები, დოკუმენტები და

პლანები არა აქვთ, ბევრი გაუყოფელი მამულია.

წესდების ძალით, ამ გვარი მამულები ბანკში გირაოთ არ მიიღება. ჯერ ჯერობით თფილისის ბანკი სამს თუ ოთხ კაცს აუღია სესხი და იმათში ორი წილი ისეთები არიან, რომელთაც გირაოთ ქალაქის მამულები შეუტანიათ. საადგილ-მამულო ბანკის უპირველესი დანიშნულება კი ის არის, რომ სოფლის მამულებს მისცეს კრედიტი.

მაშასადამე იმერეთის თავდაზნაურები ამ თავეთვე უნდა შეუდგნენ მზადებას. ამ თავეთვე უნდა დაამზადონ ყველა ისეთი საბუთები, რომელნიც იმათი საკუთრების დასამტკიცებლად აუცილებელად საჭირონი არიან.

როცა ეს საკუთრების დოკუმენტები მზათ ექნებათ, მაშინ ნოტარიუსის მხრით არ-ფერი დაბრკოლება აღარ იქნება — ადვილად მიიღებენ გირაოს მოწოდებას.

და ამით ერთის მხრით თვითონ დარჩებიან მოგებაში, რადგან ბანკი ადვილად და დაუყოვნებლივ მისცემს იმათ ფულს და მეორეს მხრით, ხშირი ოპერაციებით, თვით ბანკიც მოიგებს.

ის რამდენიმე ათი ათასი მანეთი, რომელიც უხეიროთ და უნაყოფოთ დაიხარჯა მუთაისის საბანკო ფულეზიდან, საერთო გადაწყვეტილებით რომ იმერეთის მამულების გამოჯნაზე მოეხმარათ, ჩვენის ჰაზრით, ათასჯერ უკეთესი იქნებოდა და ახლა საკუთრების გამოცნობა ისე არ გაუძნელდებოდათ თავდაზნაურებს და უანგარიშო დავებს ერთხელ და სამუდამოდ აიცილებდა თავიდან. მაგრამ, როგორც არის, ჯერ-ჯერობით უამისოთაც შეიძლება საქმის წყევნა.

მაშ ეგრე: დაამზადეთ საბუთები და რაც შეიძლება მომეტებული ფული აიღეთ ბანკიდან. ნუ გეშინიანთ: იმერეთის ბანკს ფულები არ შემოეღვეა! რაც უფრო მეტს აიღებთ და რაც უფრო თადარიგით მოიხმარებთ ამ ფულებს თქვენი მამულების გამომჯობესებლად, თქვენთვისაც და ბანკისთვისაც ისა სჯობიან...

ს. მესხი

დღიური

□ მს კვირა როგორღაც უბედური კვირა იყო... სული-წმინდის მოთენის დღესასწაულობისა, თუ ამ-საშინელი სიციხებისაგან შეზარბო-შებულგებმა თფილისში ისეთი რამეები ჩაიდინეს, რომელიც ხშირად არ მოხდება ხოლმე ჩვენში.

ქეირა დილას ერთმა კინტამ ეილაკ მალაკნის დედა-კაცს (როგორც ამბობენ, თაეის საყვარელს) ხანჯალი ჩასცა გულში და მუცელში და იქვე მიაწინა.

იმავე დღეს ერთი იუნკერი დანიძლევიანა ამხანაგებს, რომ მტკვარს გადაეცურათ. მაეხანდა ტანის-მოსი, ჩაეცურა; მაგრამ შუა წყალში მორემა მოიტაცა თურმე და დიღირა.

მაგრამ ყველაზე უფრო შესანიშნავი ამბავი მცხეთას მომხდარა:

შაბათ თუ კვირა საღამოს (კარგათ ვერ გაიგეთ) ერთს იქაურ ეკკლესიაში ეილაკებს მიცვალბული მიუტანიათ კუბოთი და უთხოვნიათ, რომ ეს კუბო ამალამ ეკკლესიაში დაასვენეთო. რადგან მიცვალბული ღამე ეკკლესიაში დასვენება აღკრძალულია, ამის გამო მღვდელი ჯერ უარზე იდგა თურმე; მაგრამ ბოლოს, მაგრათ რომ სთხოვეს, დათანხმდა და ჭირსუფლებს ნება მისცა. მეორე დღეს მღვდელი შევიდა ეკკლესიაში და ნახა, რომ კუბოს თაეი ჰქონდა ახილი, ცრუ-მიცვალბული შიგ ალარ იწვა და ეკკლესიაში რამდენიმე ძეირთასი ნიეთი აკლდა... ამბობენ, რომ პასუხის გეზისაგან შემინებულმა მღვდელმა იმდღესე თაეი დაიხრჩოვო... მს მეორე შემთხვევაა, რომ ამნაირის ოსტატობით ჩვენში ეკკლესიას სცარცევენ; ერთხელაც ამისთანა ამბავი სამეგრელოში მომხდარა...

□ ახალი ქვა-ნახშირი გამოჩენილა კიდეც... ამბობენ, რომ მცხეთიდან სამ თუ ოთხ ვერსზე, შიოს მონასტრის სიახლოვეს, არაგვის ნაპირას, მგონი, ამ მონასტრის ერთს ბერს აღმოუჩენია მდიდარი მადანი ქვა-ნახშირისაო, მაგრამ ჯერ არავისთვის გაუმხელიაო.

აბა, სად არის უფ. მასლოვი! ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ ეს მადნების მძებარი ახლავე მივარდება ამ ნახშირს საყიდლათ; მაგრამ ყიღით კი, რასაკვირველია, ვერ იყიდის...

□ ძახეთიდან გეტყობინებენ, რომ ამას წინათ სოფ. მაჩნაძიანში თ. ბ. მრისთვის კომედია „დაე“ წარმოუდგენიათ. შემოსულა ხარჯს გარდა, ორი თუმანი, რომელიც იქაურ სასოფლო ბანკის სასარგებლოთ შეუწირათ.

□ შარაიაზიდან მოგვიყვია ამბავი, რომ იქაური (ქიშეულების) — თათრები აყრილან და მთაში წასულანო, საილამაც შარაიაზში დაბრუნების უფლება აღარ ექნებათო. მათთვის იალ-

ლუჯის სტანციის მახლობლათ აურჩევიათ ალაგი დასასახლებლათაო.

□ მუთაისის ტამოჯნით, გასული აპრილის განმავლობაში, 76,503 მანეთისა და 80 კაპეიკის საქონელი მოუტანიათ, და 441,289 მანეთისა და 75 კაპეიკის გაუტანიათ სამზღვარ გარეთ.

□ ჩვენი რკინის გზები როგორღაც კარგ მთეარზე არ იბადებიან: ჯერ ხეირიანათ არც კი დაუწყიათ მოძრაობა როსტოვეო-მლადიკავკაზის რკინის გზაზე და ახლავე საშინელი უბედურება მომხდარა: ამას წინათ რამდენიმე ინჟინერი და სხვები წასულან ვაგონებით ამ გზის დასახედავით. მრთ ალაგას ვაგონი გადამხტარა რელსებიდან, კლდზე გადავარდნილა და, როგორც გზზეთს „ძაკვაში“ იწერებიან, 60 კაცი დახოცილა.

□ ჩვენ მოგვიყვია ბორიდან უფ. თ. ძანდელაკისაგან შემდეგი შენიშვნა:

„თქმა არის, მაგრამ არ ვიცი რამდენათ მართალია, რომ ბორის როტონდა უნდა საქალბო შკოლად გარდაკეთდესო. თუ ეს მართალია, ძალიან სასიამოვნო, გონიერი და სასარგებლო აზრი მოსვლია ბორის საზოგადოებას. მინ არ დამეთანხმება, რომ ამ შენობის ტყუელი-უბრალოდ გამოჩერებას მრავალჯერ ის არ ემჯობინება, რომ საქალბო შკოლათ გადაკეთდეს, რომელიც აქ ისე აუცილებელ საჭიროებას შეადგენს? მართალია, ეხლანდელ დროს სჭირდება ისეთი საშუალება, რომლითაც შეეძლოს საზოგადოებას დროს გატარება, ქეითი, ერთმანერთთან მისელა-მოსელა, ნახეა და გაეცნობა, და ამასთან სხვა და სხვა წარმოდგენაები და სხ. და, მაშასადამე, გორელებსაც ამეებისთვის დასაჭირდებათ ეს სახლი, მაგრამ ამათ კიდე დარჩებათ მეორე, უფრო კარგი და მოწონებული სახლი, პროექტი. თუნდ ესეც არ იყოს, შეიძლება ზოგჯერ შკოლაც მოიხმარონ ამეებისთვის, განსაკუთრებით წარმოდგენებისთვის, თუ კი ისურვევენ როდისმე და გაბედამენ წარმოდგენას.“

„დროების“ კორექსიონდენცია

მართლიდამ, 30 მაისს

აი, ეს რამდენი წელიწადია, რაც ჩვენ საქართველოში კარგი მოსავალი არა ყოფილა. მხლა კი, ამ წლებანდელ წელს ყველას დიდი იმედი აქვს კარგი მოსავალისა; ბევ-

რისაგან გამოვიდნა, რომ მერმის პუ-
რი გაიფუტებოდა; და თითქმის ყველა
საქართველოს კუთხიდან წრეულ
ამისთანავე კარგი მოსავალის ხმა ისმის.

მაგრამ მე კიდევ მაინც იმას ვი-
ტყვი, რომ ეს იმედი ძალიან ცოტა
მანუგებებელია: შეიძლება წლეულ
კარგი მოსავალი მოვიდეს, მაგრამ
იმისთანა კი თავის დღეში ვერ მო-
ვა, როგორც მოდიოდა ამ ოცი
წლის წინეთ. ბერი კაცებისაგან ბევ-
რჯელ გამოვიდნა, რომ წინეთ ერთ
დღიურ მიწას შეეძლო გამოეყვება
მთელი სახლობაო. მსლა კი ხუთი-
ექვსი დღისაღარ ჰყოფნის ერთ
ოჯახს. ამ მოვლინებას საწყალი
გლეხი-კაცი უფლის განგებას აწერს
და სხვა სახსარს სრულებით აღარ
უღვება.

პირველი მიზეზი უმოსავლობისა,
რასაკვირველია, გვალვია ანუ განუ-
წყვეტელი ჰაზანაჰი სიციხეები, რომ-
ლის წყლობითაც მცენარეს არ შე-
უძლიან ფესვები გაიღვას მიწაში და
უღროვოთ წუთი სოფელს ეთხოვება.
მაგრამ არ შემოძლიან იმასთან ისიც
არ ესთქვა და უპირველეს მიზეზათაც
არ ჩაეთვალო ისა, რომ გლეხ-კაცმა
არ იცის ხენა-თესვა ე. ი. არ იცის—
როგორ მოხნას და ან რა ადგილას
რა მცენარე დათესოს. ის სთესამს
აღალ ბედზე, ერთსა და იმავე ადგი-
ლას რამდენიმე წლის განმავლო-
ბაში ერთსა და იმავე მცენარის მარ-
ცვლებს.

ზანა წინეთ არ იყო ხოლმე გვალ-
ვა, მაგრამ საკმაო საზღო მაინც კი-
დედ მოსდიოდათ; უკანასკნელი კუჭს
მაინც იძობდნენ და არა თქმულა,
რომ ძველ დროს ჩვენ საქართვე-
ლოში მიწაში ვინმე მომკვლა-
რიყვეს. ეს ჩვენ იმითი შეგვიძლიან
აგხსნათ, რომ წინეთ ძალიან არ იყო
შეწუხებული ყამირი მიწა გადაბრუნ-
გადმობრუნებით და იმოდენა კარგი
ნაწილები კიდევა ჰქონდა, რომ ყვე-
ლა მცენარესთვის სიცოცხლე მიე-
ნიჭებინა გვალვის დროს, როცა მცე-
ნარეს ძალიან უჭირდა. მსლა კი,
ჩვენ დროში, მეტის-მეტე ყამირი მი-
წის გადაბრუნ-გადმობრუნებით, ერთ-
თი და იგივე მცენარის თესლით
ერთსა და იმავე ყამირის მიწაზედ
კარგი ნაწილები სულ ერთიანათ
დაიღუპა, ამასთან გვალვამაც მოუ-
მატა თავისი ჯიბრი და აბა, ახლა
თქვენ იფიქრეთ, საწყალმა ნათესმა
უსაზრდოა მიწას თავი როგორ უნ-
და ამოახწიოს! ამის გამო ნათესი
შიგ უნდა დალპეს და თუ თავს
ამოჰყოფს მიწიდან, სრულებით უ-
ნაყოფოს. ამისთანა მოვლენას რომ
შხედავს გლეხი-კაცი თავის ნათესზე,
თავის ბედს სწყველის და თან ამა-
საც ამბობს: „მერთმა განიზრახა
ჩვენი გაუღეტაო.“

მე მოვიყვან ორს მავალითს, რომ-
მლიდგანაც ცხადათ დაინახეთ—თუ
რა შედეგები აქვს უმოსავლობას
გლეხების ცხოვრებაზე.

მრთს ზაფხულს 17...წ. სოფელს ქაე-
თისხევეში საშინელი სიციხეები დაიჭირა
და მთელი სამი თვის განმავლობაში

ცა ჩვენთვის ერთი წვეთი წყალი არ
ჩამოუღვლია.

ზღვებში დიდ ტანჯვაში იყენენ:
ყოველ დღე შეიკრიბებოდნენ ხოლ-
მე ის უბედური დღისანი და ერთი
ყაყანი გაჰქონდათ ხოლმე. ზოგი
იმას ამბობდა, რომ ანგლიჩნებმა შეჰ-
კრეს ცაო და იმიტომ არ მოდის
წვიმაო; ზოგი ამბობდა—ვარსკვლავი
დაიჭირესო და სხ. მრთი სიტყვით,
ყოველ დღე ისინი იკრიფებოდნენ
და ყველა თავის აზრს ამბობდა უწ-
ვიმობაზე. მრთ დღეს, რომცა ხალხი
შეიკრიბა და ჩვეულებრივი ყაყანი
მორთო, ერთი მათგანი გლეხი წას-
დგა წინ და შებღვლა ხალხს ტი-
რილის ხმით: „ხალხნო, შაყულიანთ
ძაკლიჩიტს თხის თავი ჩაუფლამს
მიწაში და ეს უბედურება იმიტომ
მოგვაყენა ლმერთმაო!“ ხალხს ეს
ტყუაში მოუვიდა, წამოაფლეს კეტებს
ხელი, სახლში მიუვარდნენ ამ კაცის
მოსაკვლელათ და დიდის ცოლ-შვი-
ლის ვედრებით ძლივს გადაჩნა საწყ-
ალი.

ამ ზაფხულშივე, რამდენიმე დღის
შემდეგ, რომ წვიმა სულ აღარა და
აღარ მოდიოდა, ხალხი კიდევ შეი-
კრიბა და ბევრის ყაყანის შემდეგ
ასე გადასტრა: ხვალ ჩადრის-თავთან
წავიდეთ და სამღეთო გადავიხადოთ,
უშველათ შეგვიბრალვებს და წვიმას
მოგვცემს *).

მეორე დღეს მთელი სოფლის
ხალხი თავის მღელღით ჩადრის-თა-
ვთან ისხდა, ღვინოს სუამდა გაცხ-
რებით. საღამოთი, როცა სამღეთო
გათავეს და შინსკენ გამოსწიეს,
რალაც შემთხვევით, ღრუბლები აი-
შალა ცაში და ჩემდა გასაკვირველათ
ტექაც და შემდეგ წვიმაც ზედ მოჰ-
ყვა.

ამისთანა სამწუხარო შედეგებს
გხვდეთ ხალხის ცხოვრებაში უმო-
სავლობის გამო. ამ საწყლებს რომ
წინამძღოლები ჰყვანდეთ და აგონე-
ბდნენ, რომ ეს უბედურება იმათ
ხელიდგანვე გამოდის, რომ იმათ რომ
საქმე დაკვირვებით და ფიქრით აკე-
თონ, ესე შიმშილობა და უმოსაე-
ლობა აღარ იქნებოდა, მაშინ რა კარ-
გა წავიდოდა მოსავალის საქმე და
თვით გლეხი-კაცებისა!

ქაე

წერილი რედაქტორთან

შუალო რედაქტორს!

მეგობ. მოყვანილი წერილი ვიშო-
ვე მე ერთი ჩემი ნაცნობისაგან.

*) ჩადრის-თავს ეძახიან კავთლები ერთ
წმინდა მეცხვარის საულავს. ამ მეცხვარეს-
თან, როგორც ბერი კაცები ამბობენ, თურმე
ერთხელ იესო ძირსტე მისულა და ხუთი
ცხვარი მიუყვანია შესანახავათ (ამით ვიიომ
უნდა გამოეცადა). ათი წლის შემდეგ იესო
ძირსტემ ისევ მოსთხოვა ცხვრები; მეცხვა-
რემ ათი ცხვრის მაგიერათ ასი ცხვარი მის-
ცა. ლმერთმა, რომ დანახა იმისი პატიოსნება,
უთხრა: „ეს ამდენი რაღა არისო?“ „ეს შერი
ცხვრების ნაშენებიაო“, მიუგო მეცხვარემ.
ლმერთმა უთხრა: „მთხოვე, რაც გინდა,
ყველფრის მომცემი ვარ.“ მეცხვარემ მიუ-
გო: „შუალო, გვალვის დროს გთხოვო,
წვიმა გამომიგზავნე და ავღობას კაი დარიო.“
აი ამის საულავზე შეიკრიბებოან ხოლმე.

იქნება რაიმე სასარგებლოთ გამოდ-
გეს ჩვენი ლიტერატურისათვის ეს
ძველი ნაწერი, რომელიც გაგვაგებო-
ნებს ასი წლის წინანდელი ჩვენი
ხალხის ენას, მწერლობას და, კარ-
გათ თუ ცუდათ, ცხოვრებას და ხა-
სიათს. ამისათვის, ვარ რა თქვენი
მიზნისა, დიდის სიმღამლით გიგზავ-
ნით „დროებისთვის“ ამ ერთს (თუ
საჭირო იქნება, სხვებსაც ბევრს შემ-
პირდა ის ჩემი მეგობარი) წერილს,
რომელიც ეკუთვნის 1720 წელს.

მიოფ. ძანდელაკი

„ნებითა და შეწვევითა მღეთისათა,
ესე ამიერ უკუნისამდე *) და ხანთა
ვასათაეებელი მტკიცე და უცვალე-
ბელი, და დრო შემოუგდები ყოვე-
ლის ხლოთისა, და ილათისაგან გამო-
სული სამკვიდროდ, და საბოლოოდ
გამოსადეგი მამულის და ენახის ნა-
სყადობის წიგნი და სიგელი დაიწერე
და მოგართვი მე ნოდარის შვილმა
ნოდარ შენ ჩემ ბიძაშვილს ჰაატას
ასე, რომ ჩვენი ნასყიდი მამული და
ენახი: მოგყიდეთ და სასახლითა სა-
ენლისა და ბეროს მამულის გარდა
მოგეცით თავისი შესავლით, ვასაე-
ლით, წყლით, წისქვილით, მითითა,
ბართა, სასაფლაოთი, ხილითა, ხილ-
ნართა, ქვევრ-მარნითა და ყოვლის
მისის სამართლიანის სამძღვრის სამ-
ძღვრამდის, ზევით—გზამდის, ქვევით
—საეალის ენახის მიდგამდის, იქით
—ბეროს ენახის მიდგამდის, აქეთ-
კალომდის. მიდეგ ამას გარდა ივანეს
ნასყიდი პატარა ენახი რომ არის,
ისიც მოგყიდეთ მისის სამძღვრის
სამძღვრამდის და ამსაკეამლოს რაც
მიწები და სახნავი აქვს, ისიც მოგ-
ყიდეთ. ავიღევეთ ფასი სრული და
უკლებელი, რითაც ჩვენი გული შე-
გჯერდებოდათ, გქონდეს და გაბე-
დნიეროს ღონ (ლმერთმან). მიც და
რამანც ადამის მონათესავემ კაცმან
ღამან ანუ მკირემ ამის დაშლად
ხელ გიყოს, მასაც რისხავს და უსა-
ბამო ლმერთი, მაშა, ძე და სული
წმინდა და ყოველნი მისნი წმინდანი
ზეცისანი და ქვეყნისანი, ხორციელ-
ნი და უხორცილნი; მასამც ედების
კეთხი ბეზისა, შიშთელი იუდასი,
მეტეხილობა დისკორესი, ცოცხლიე
დანთქვა და თან და აბირონისი.
მიც ამ მამულის და ნასყიდობის
მოდავე გამოჩნდეს, პასუხის მიმგები
მე ვიყო. პრიან ამისი მოწამენი და
დამხდურნი: თავად ლმერთი, კაცთა-
გან—ჩვენი ბიძაშვილი უზბაში მ-
თარ და სხვა; მდივანი შარანა
(ბეჭედი ზედ ნაწერით: შარანა.)
ბოქალული ლუარსაბ და მე იასეს
დამიწერია და მოწამეცა ვარ ამისი.
(თითოეულ მოწამეს საკუთარი თავის
სახელ მოწერილი ბეჭედი ჰქონათ,
ვისაც წერა არ სცოდნია, ჯვარიითა).
დაიწერა სიგელი ესე მაისის ოცდა
შვიდს ქკოს (ქორონიკონს) უკს.
მამული მომიყიდნია და კაცებთან
ხელი არა გაქეთ.

მ. ჩვენ მთავარ შეისკობასი ძი-
*) თითოეული სიტყვის ბოლოს ორი წე-
რტილი აქვს დედანში.

რილე—ამის მოწამე ვერა უბრლოე
(უბეჭლოთ) მ. ჩვენ ბორის შელიკი შარსადა-
ნა ამისი მოწამე ვარ (ბეჭედედ და-
წერილია შარსადან).

რუსეთი

✠ მრთს რუსულ გაზეთში იწე-
რებიან, რომ ამას წინათ რომ ტო-
ვო-მლადიკავახის რკინის გზის მუ-
შებს შუა ძალიან ჩხუბი მომხდარა.
ჩხუბი იმის თაობაზე მომხდარა, რომ
რუსის მუშებს, პირობის ძალით, შავ
პურს აძლევდნენ თურმე და ქართ-
ველ, ლეკის და თათრის მუშებს კი
პირობა ჰქონდათ შეკრული, რომ
თეთრი პური უნდა მისცემოდათ.
ხსენებული გაზეთი იწერება, რომ
ეს გარემოება შემურდათ რუსებს და
რამდენიმეჯერ ჩხუბი ატეხესო. უ-
კანასკნელად 31 აპრილს მომხდარა
დიდი ჩხუბი, უროებით, რკინის ჯო-
ხებითა და კიტებით ეცემათ ერთმა-
ნეთი; ბევრისთვის დაუშტერევიათ
ცხვირ-პირი; მაგრამ სიკვდილით კი
არც ერთი არ მომკვდარა. მუშობის
მოთავეს, ამ ჩხუბის შემდეგ, ყველა
რუსის მუშები დაუთხოვნია.

✠ ის უნივერსიტეტის წეს-
დება, რომელიც 1863 წელს შემო-
იღეს, თავის დანიშნულებას რიგიანათ
ვერ აკმაყოფილებს და ამის გამო
ახლა ამ წესდების გადასახედავთ და
ახლის გამოსაცემად ცალკე კომისია
დაუნიშნავთ. ამ კომისიის წევრები
რუეთის ყველა უნივერსიტეტის რე-
ქტორები არიან და ამათ გარდა კი-
დეგ სხვა რამდენიმე გამოცდილი
კაცი.

✠ ჩერნიგოვის გაზეთი გვაცნო-
ბებს, რომ ამ გუბერნიის ერთს უფ-
ბში ამას წინათ გლეხების არეულო-
ბა ყოფილა. მეჭყვის კამისიას გლე-
ხების მიწების ჩამოკრა სდომებიათ,
გლეხები აჯანყებულან და გაუყრიათ
ჩინოენიკები. ძამისიას ჯარი მოუთ-
ხოვნია, გლეხები დაუტუსალებიათ.
მაგრამ ბოლოს, იქაური სასამარ-
თლოს გადაწყვეტილებით, გლეხები
სრულებით მართალნი გამომდგარან
და გაუთავისუფლებიათ.

✠ შახანიდამ ერთს სატანტო
გაზეთში იწერებიან, რომ იმ საზო-
გალოებას, რომელიც მკირე წლო-
ვანი დამნაშავეების საზრუნველად
არის შემდგარი და რომელიც ეს
ორი წელიწადია არსებობს, ახლა
300 მეტი წევრი ჰყავსო და 20,000
მანეთი აქვსო.

✠ „მოსკოვის უწყებების“ სიტ-
ყვით, უმაღლესი მთავრობა იხილავს
ახლა ერთს პროექტს, რომლის ძა-
ლითაც არხანგელის გუბერნიაში
რამდენიმე სახელოსნო შეკოლა უნ-
და გაიმართოს და შემდეგ ამ შეკო-
ლებში კურს-დასრულებულებს იმ-
დენი შემწეობა უნდა მიეცესთ, რომ
თვითონაც პატარა რიგიანი სახელო-
სნოები გახსნან.



უცხო ქვეყნები

საზრანგეთი. ამჟამად მერსალის ნაციონალურ კრებაში სხვა და სხვა წევრმა ფინანსიურ კანონების პროექტებზე მოლაპარაკება. სხვათა შორის ამას წინათ მარილის ბაჟზე ჰქონათ სჯა. ბიუჯეტის კამისიის პროექტით, მარილს ბაჟი უნდა მომატებოდა. მარცხენა მხარე წინააღმდეგ ამისა თხოულობდა, რომ რადგანაც მარილის ბაჟი ყველაზე უფრო ისეთს ღირს ხალხს აწვესო კისერზე, რომელსაც სხვა გადასახადიც საკმაოთა აქვსო, ამის გამო ამ ბაჟის მომატებას სამართლიანობა არ მოითხოვსო. მაგრამ ადვოკატებისა, მდიდარი ვაჭრებისა და ფეოდალებისაგან შემდგარ კრებას ამისთვის ყურადღება არ მიუქცევია და ხმის უმეტესობით მარილის ბაჟის მომატება გადაუწყვეტიათ.

მსპანია. ღონ-ძარლოსის მომხრეების საქმე თან-და-თან ცუდათ მიდისო, იწვრებიან; მაგრამ გასაკვირველი ეს არის, რომ იმათ დამმეღებებს ჯერ ჯერობით არა ეშველა რა. იმის ნახევარჯელაც რომ გავმარჯვათ და იმის ნახევარი კარლისტები რომ დაეხრებოდნენ, რამდენსაც მღრიდის ოფიციალურს გაზეთებში იწვრებოდნენ და იწვრებიან, უეჭველია, ახლა ღონ-ძარლოსის არცერთი მომხრე აღარ იქნებოდა დედა-მიწაზე. მაგრამ ნამდვილათ ისე არ უნდა იყოს საქმე, როგორც ოფიციალურს გაზეთებში იწვრებიან; თუმცა ისიც უეჭველია, რომ ღონ-ძარლოსის მომხრეები ამ უკანასკნელ დროს ძალიან ცუდად და შევიწროებულ მდგომარეობაში არიან.

ამერიკის რესპუბლიკა, რაც ხან მიდის და პრეზიდენტის ამორჩევის ვადა ახლოვდება, ისე თან-და-თან გაცხარებული მოძრაობა ჩნდება ჩრდილოეთ ამერიკის შტატებში და იქაურ გზებებში; რესპუბლიკური და საზოგადო ყოველ გვარი ამერიკის გაზეთები დიდ უკმაყოფილებას აცხადებდნენ იმის გამო, რომ ახლანდელ პრეზიდენტს ბრანტს ხელ-ახლავე მსურს პრეზიდენტობაზე კენჭი იყაროსო. ამის გამო ბრანტს პირდაპირ გამოუცხადებია ახლა გაზეთებში, რომ იმას თქვიათაც არ მოსცელია ხელმეორეთ იყაროს კენჭი. შაშინგტონის მაგალითი, რომელმაც ხელმეორეთ არ წარსდგა კენდიდატათ, რადგან მონარქის გაჩენის ეშინოდა, ჩვენთვის ყველაფერის კანონათ უნდა შეიქნესო.

ლოში ერთობრივი ხალხოსური მართებლობის ნაკეთი იყო. ამ გვარი მართებლობისაგან, როგორც ამბობს თეიმურაზ ბატონის-შვილი, „ერთი საქართველოსანი იყვნენ ხარაქტერითა უაღმატებულესნი, გულოვანნი და ძლიერნი მამაცინი და ამისათვის თავისუფლებით თვისითა და საზოგადოისა სიუფარულითა უმეტესსარგებლობდეს დაცვისათვის მამულისა თვისისა.“

ასრე რომ ძლიერი იყო საქართველო, ამ დროს ასურეთის სამეფოში გაძლიერდა მეფე ნინი და იმისი ცოლი სემირამიდა. მეფე ნინმა დაიპყრა მრავალი ქვეყნები და მოინდომა ქართველებისაც დამორჩილება. მაგრამ ქართველები ისრე არ დაემორჩნენ, როგორც სხვები; იმათ მხოლოდ ნინის მფარველობა თავს იღვეს. მაგრამ როცა ნინი მოკვდა, მამინ სრულიად უარი ჰყვეს. ასრე მოხსენებული ასურეთის ისტორიაში და ქართველები იქ დასახლებულნი არიან კალუზიანებად, და ეს კალუზიანები უფ. ლიმიტრი ბაქრაძისა და თეიმურაზის სიტყვით ქართველები არიან.

ნინი რომ მოკვდა, ასურეთის მეფედ ახლა მისი ცოლი სემირამიდა გახდა. რადგან ქართველებმა იმისი უფლება უარი ჰყვეს, ამისათვის ამ ქალმა ხმლით მოინდომა საქართველოს დაპყრობა; მაგრამ ამ მეფეს თავის სამსახურში ჰყვანდა სამი ძმა ქართველი. ამათ უთხრეს სემირამიდას, რომ ეგრე რიგა ადვილად ქართველების ხმლით დამორჩილება არ შეიძლებაო: ისეც ისა ჰჯობიან, რომ ისინი ტკიბლის სიტყვით მოიყვანოთ მორჩილებაშიო.

ამისათვის, ამბობს თეიმურაზი 68 კაბადონზე, სემირამიდამან მოუწოდა ივერიელთა მშვიდობითა საშუალობითა ამა ზემოხსენებულთა მთავართა სამთა მთავართათა, ვინაიდან იყვნენ ქართველნი ნათესაობისანი, უსმინეს მამასახლისთა და დაიდევს საფარველი სემირამიდასი პირობითა ამით, რომელ საზოგადოებისა მათისა განმგებლობანი, სჯულნი და წესნი მათნი არ რა შესაძლებელ იყოს ცვალებად; ხოლო სემირამიდამან აღასრულა ყოველივე ნებისამებრ მათისა სათხოველნი მათნი და ანიჭნა ნიჭნი მრავალნი ივერიელთა ერსა, არცა შეუწყვეთ მათ ხარკისა მოცემად; მხოლოდ სთხოვა მათ რათა ულაშქრებდნენ მტერთა ზედა და ყოველი წარსაგებელი იყოს მხედრობათა მათთა ზედა სემირამიდასი. მთავრეს ივერიელთა ათასნი რჩეულნი მხედარნი, რომელთაგანცა გამოირჩინა ურჩეულესნი მცველად გვამისათვისისა და სხვანი დიდისა პატივითა პირველსა მწყობრსა შინა თვისსა დააწესნა ერთად, რომელთაც მრავალთა ბრძოლათა შინა მსახურეს ფრიად სახელოვანად, თვით მივიდა სემირამიდა, ისტუმრეს ივერიელთა დიდისა გამოჩინებითა, მოვლნა მრავალნი ადგილნი ივერიისა და კლდეცა იგი მას ქამსა იხილა, და სათნო გეო და აქებდა სიკეთესა ქვეყანისასა და შეიყვარა ერთ მუნებური ფრიად და მრავლითა საზომებითა აღაგნა და მოიქცა მუნით ბაბილოვანად. მაგრამ დაბრუნებამდე, თავის მძლავრობის ნიშნად, ამ ქალმა ძაქკასიის ერთს კლდეზე გამოაჩატინა თავისი სახე, გარემოცული ღარაჯებითა.

ამ სიტყვებში მოხსენებულინი სამნი ძმანი ქართველნი, სემირამიდას სამსახურში მყოფთაგან, ერთი იყო იმისი ჯარების სპასალარად, მეორე ქალაქებში მყოფი ციხეების მთავრად, მესამე პალატის უბუცესად. მკვი არ არის, რომ სემისამიდა თუ პატივსაცემდა ქართველებს, ჯერ პატივსაცემდებდა ამ სამთა წარჩინებულთა მამულის მოყვარე ქართველებისა გამო, მერმე ამისათვის, რომ მხნე, გულოვანი და ძლიერად მებრძოლნი იყვნენ.

მაგრამ ამ დროს უფრო შესანიშნავნი არიან ამორძლები. ამ დროს გმირობა და ვაჟკაცობა არამც თუ საქართველო კაცებსა ჰქონდათ, არამედ თვით დედაკაცებსაც. ამავე ქაშს ძახეთში (თუშეთში), იმერეთში და სპარაში იყო ამორძლების სამეფო და უფლება. შოპენი ამბობს, რომ ამ ქალების ალყავებული მდგომარეობა იწყება 1249 წლიდან და იყო 1143 წლამდე; ეს კაცი ამთ არსებობაზე ამბობს, რომ ამათი ყოფნა და უფლება შაფისა და ძასპიის ზღვის პირებზე უეჭველი არისო. უცნაურს ძველს დროებაში, ამბობს შოპენი, რომა ნახარეთის შაენმა რამში ამოსწყვიტა შაფის ზღვის პირზე მცხოვრები მამრობითი სქესი და ცოლები რომ უქმროდ დარჩნენ, მაშინ ახლა იმათ მოკიდეს იარაღს ხელი და გაუმაგრდნენ მტერსო. ისინი შევიდნენ ამასის ქალაქში და ჯერ მამაცურად გაუმკლავდნენ მტერს, მერმე გამოვიდნენ ქალაქიდან და ახლა თვითონ შეეტაკნენ იმას, მტერი რომ დაამარცხეს და მოიშორეს თავიდან, მთელი მხარე ტანასილგან დაწყებული ვიდრე სირიამდე იმათ დაიპყრეს, აღაშენეს ქალაქი ტამის-შირი ანუ შაგარი. ბრწყინვალე დრო ამათი უფლებისა იყო 1249 წლიდან ვიდრე 1143 წლამდე. ამ ქალების უფლებისა გამო დაერქო მცირე აზიაში მთელს მხარეს ანატოლია. ანატოლია ნიშნავს დიაცების მთას.

როგორც თურმე ამბობს ბერძნული ზღაპარმოთხრობა, ჰერკულესმა ამოწყვიტა ამორძლების არსებობა მცირე აზიაში და ეინც გადარჩნენ, ისინი წავიდნენ თუშეთის (ძახეთში) მთებში ანუ უფრო ზევით და ხელმეორედ აღადგინეს თავისი უფლება. ამბობენ, მოუთხრობს შოპენი, ვითომც რომდესლაც ამორძლები სცხოვრებდნენ მთებში, რომელნიც აღიმართებიან ალბანიის მთაზე. თეოფანე, რომელიც პომპეის თავის ალბანიისში ლაშქრობის დროს თანაჰყვანდა, ამბობს, რომ ამორძლებისა და ალბანელების შუა სცხოვრებენ ლეკებიო და მათი სამშობლო განიყოფება მარმოდალი მდინარითო. ამავე მწერლის სიტყვით მდინარე მარმოდალი შეიცავს ქართულს ზმნას მოდი; მე კიდევ ამას მიუმატებ, რომ პირველი მარცვლი „მარ“ არის სიტყვა ქმარ; მაგრამ ამ წოდებაში ეს ლექსი გარყენილია. მაშასადამე მარმოდალი უნდა გადითარგმნოს ასრე: ქმარო მოდი.

ინგილო ჯანაშვილი

ნარკვეთი

ერთი უცნაური წიგნი ჩამივარდა ამას წინათ ხელში: „ბოროტი ქალების სჯა ქალებზე“ (Les femmes jugées par les méchantes langues)

ბატონებს—ორნი არიან—მოუგროვებიათ სუყველაფერი, რაც გაბრაზებულ კაცობრიობას უთქვამს ქალებზე. თავიანთგან პატარა, მაგრამ მოხერხებული წინა-სიტყვაობის გარდა არაფერია ამ წიგნში.

მე ჩემის მხრით მხოლოდ ვიტყვი, რომ ქალები ყველგან ცნობის-მოყვარენი არიან და ამიტომაც მერქარება მოვიყვანო ქალებზე ზოგიერთა ისეთი ჰაზრები, რომელნიც განსაკუთრებით ახიჩებულნი მჩვენენ:

ათას კაცში ერთი კეთილი მინახავს, სუყველა ქალებში კი არცერთი.

ქალებს ბატონობა უყვართ, — თუ ვსტყვი, ჩამომახრჩვეთ.

უფრო ადვილათ დავთანხმებ მთელ მკრობას, ვიდრე ორ ქალს.

ქალის გადაკეთება და აჭურის გათვრება ერთია.

ქალების რწმუნება ეს არის, მტერს ვემსახუროთო და ეშმაკიც არ გავაჯავროთო.

წმინდანების რიცხვში ჩვეთელი და უფულოთ ვაჭურთებ იმ დედაკაცს, რომელსაც ქმარი არ უჩივის.

ქეთილი ქალი უფრო ძნელათ მოინახება, ვიდრე თეთრი ყვავი.

ქალს მარტო სიბოროტესთვის არ აკლდება ენერგია.

ქველა სასტიკ და შეუბრალებელ პირობებზე მტრათ ქალს უნდა მოვერიდოთ.

ჩონგურის დაკვრა ქალებს ათას წლიათ ურჩენიათ, ვიდრე ღარბების მოსმენა.

ქალი ხშირათ იცვლება, მაგრამ სულელი იქნება, ვინც იმას ენდობა.

ქალსა და წისქვილს შუა დიდი განსხვავება არ არის.

ქალი ხშირათ იცვლება, მაგრამ სულელი იქნება, ვინც იმას ენდობა.

ქალი ხშირათ იცვლება, მაგრამ სულელი იქნება, ვინც იმას ენდობა.

ქალი ხშირათ იცვლება, მაგრამ სულელი იქნება, ვინც იმას ენდობა.

ქალი ხშირათ იცვლება, მაგრამ სულელი იქნება, ვინც იმას ენდობა.

ქალი ხშირათ იცვლება, მაგრამ სულელი იქნება, ვინც იმას ენდობა.

ქალი ხშირათ იცვლება, მაგრამ სულელი იქნება, ვინც იმას ენდობა.

ქრონიკა 10

ქართველი, ასურეთის მეფე ნინი და სემირამიდა, 1250 წლიდან 1143 წლამდე, ამორძლები (ამაზონალები) და ქალის მნიშვნელობა საქართველოში.

მამასახლისობის დროინდელი მოწყობილება და მართებლობა პირდაპირ ამტკიცებს, რომ საქართვე-

განცხადებანი

თფილისის ქალაქის უბრავე სა- ყოველთაოთ აცხადებს, რომ მომავალი ივნისის 16 დღეს იმის თანადასწრებით და თანხმად ქალაქის ზამ- გეობის (დუმის) გადაწყვეტილებისა იქნება მხოლოდ ერთხელ ვაჭრობა, რომელზედაც იჯარით მიმდებარე საში წლის ვადით მუხრანის შან- რეპის განათება.

უბრავე საყოველთაოთ აცხადებს, რომ მომავალი ივნისის 16 დღეს იმის თანადასწრებით და თანხმად ქალაქის ზამგეობის (დუმის) გადაწყვეტილებისა იქნება მხოლოდ ერთხელ ვაჭრობა, რომელზედაც იჯარით მიმდებარე საში წლის ვადით მუხრანის შანრეპის განათება.

ვაჭრობაზე თავის პირობების წარდგენა შეიძლება პირადად და აგრეთვე დაბეჭდილის განცხადებით.

მსურველთ შერეულნი ნახონ და წაიკითხონ ნამდვილი პირობები (კონდიციები) შანრეპის ქანცელარიაში, ყოველ დღე, დილის ათი საათიდან, ვიდრე ნამუდღევს 2 საათამდე, და ვაჭრობისათვის კი დანიშნულ დღეს უნდა მოვიდნენ.

ქალაქის თავის თანამდებობის აღმასრულებელი **ლ. ელიშიშვილი**

თელავის სასულიერო სასწავ- ლებლისაგან

§1. თუმცა თელავის სასულიერო სასწავლებელი დაბალი ხარისხის სასწავლებელია და თავის მოწაფეს აძლევს მხოლოდ თავდაპირველ სწავლასა, გარდა ეს სწავლა არ არის უარი-მარიგო, არამედ არის წესზედ წყობილი ანუ სისტემატიკური.

§2. ამისთვის პირველ კლასშივე ამა სასწავლებლისა მიიღება მხოლოდ მომზადებული და იმდენათ მომზადებული ხნით და სწავლით, რომ შეეძლოს სმენა და მითვისება წესზედ წყობილი სწავლისა, რომელიც მას გარდაეცემა ხსენებულ კლასში.

§3. პირველ კლასში შემომავალი უნდა იყოს არა ნაკლები ცხრა წლის ნახევრისა (9 1/2 წ.) და არა მეტი თორმეტ წლინახევრისა (12 1/2 წ.), უნდა იცოდეს აზრიანათ და შესვენით კითხვა და წერა ქართულად, სუმბუქი, ანუ ცოტადენი ლაპარაკი, რამდენადმე საამური და კანონიერად კითხვა და წერვა რუსულად,

მუდამ სახმარებელი ლოცვები, პირველ-დაწყებითი ქრისტიანული სწავლა და პირველი ორი მოქმედება არითმეტიკისა (რიცხვთა შეერთება და გამოკისხვა), რიცხვთა სამმრავლებელი ტაბლიციტურთ.

§4. მეორე, მესამე და მეოთხე კლასში შემოსასწავლელისაგან მოითხოვება ამა კლასების შესაფერო წლოვანობა და განსწავლულება. ქლასების შესაფერო წლოვანება შეიძლება თვითონ მკითხველმა ცამოიანგარიშოს შემდეგ მე-33-ში ნათქვამისა და რაკი ვაცნობებთ, რომ მეოთხე კლასის შემასრულებელს უნდა ჰქონდეს არა ცამეტ წელიწად ნახევარზედ (13 1/2 წ.) ნაკლები და არა თექვსმეტ წელიწად ნახევარზედ (16 1/2 წ.) მეტი ხანი, ჩამოთვლილი კლასების შესაფერო ცოდნის განსასწავლებელი ჩვენება კი ძნელია; ის შეიძლება მსურველმა შეიტყოს თავის დროზედ თვით სასწავლებლის მმართველობისაგან და მასწავლებლებისაგან.

§5. შემოსვლა, ანუ მიღება თვითვეულ ოთხ-კლასთაგანში შეიძლება მხოლოდ სწავლის წლის დასაწყისში და დაწესებული ვგზმენის დაქვრით.

§6. მგზმენიას დაქვრინებს სასწავლებლის მმართველობა იმ მასწავლებელთ თანამონაწილეობით, რომელ საგნებშიაც შემოსასწავლელი უნდა გამოიკადოს.

§7. სასწავლებელში შემოსვლელის ვგზმენიას მიმსაშვებელად უნდა თავის დროზედ თხოვნა მოიცეს სასწავლებლის ზედამხედველის (სმოტრიტლის) სახელ-გვარზედ. უკანასკნელი ვადა თხოვნის მოცემისა არის 23 აგვისტო; თხოვნასთან უნდა წარმოადგინონ მოწმობა ცოდნის ქონვისა და ყოფა ქცევისა, თუ შემოსასწავლელს სასწავლებელში სადმე უსწავლია, ანუ მხოლოდ მეტრიკის მოწმობა, გინა მისი პირი, თუ შემოსასწავლელი პირი სასწავლებელში არსად ყოფილა და პირ-და-პირ სახლიდგან მოდის.

§8. ზემოხსენებული რჯულიერნი პირობების შემასრულებელი, თუ გინდ სასულიერო წოდების და უწ-

ყების პირის შეილი იყოს და თუ გინდ საეროსი, მაინც მიიღება სასწავლებელში და ჩაითვლება ნამდვილ მოწაფეთ, მხოლოდ არა-სასულიერო წოდების და უწყების პირის შეილს სასწავლებელი ფულს გამოართმევს.

§9. ეს ფული იმდენი იქმნება, რამდენსაც ადგილობრივ საერო უფროსის სასწავლებელში იღებენ; ნახევარი ამ ფულისა შემოიტანება სწავლის წლის დამდეგ და ნახევარი მეორე ნახევრის დამდეგ.

სასწავლებლის ზედამხედველი **ს. ლაფეროვი**

გამოვიდა და ისყიდება **სურამის ციხე** მოთხრობა **დ. ზონქაძისა**. შასი ერთი აბაზი.

უ. ახვლედიანის და ვარლამოვის სარკმოს სარდაფში, ისყიდება შემდეგი ნაწარმოები: **პარაკი — გირვანქა — 50 კაპ.**


ნაღები	—	—	—	—	—
სმეტანა	—	—	—	—	—
შეელი	—	—	—	—	15
ტიაროგი, ხაჭო	—	—	—	—	10
რძე	—	—	—	—	5
მაწონი	—	—	—	—	5

სარდაფი იმყოფება პრევენის მადანზე, სემინარიის პირ-და-პირ, მანდენოვის სახლებში.

გამოვიდა და ისყიდება **თფილისში** ქვე. ხელაძის სტამბაში: **სამიჯნური მიწერ-ამოწერა**

ქალ-ვაჭისა შასი ყველგან ერთი შაური გამოცემული

ქ. ხელაძისაგან. ჩქარა გაიგზავნება სხვა ქალაქებში: **ბორში — მ. ძანდელაკთან.** შუთაისში — **მ. შათიანთან** (სასულიერო სასწავლებელში) და უსეიძონ ჩომახიძესთან. **მზურგეთში** თ. ანტონ ნაკაშიძესთან და **მაკაბა** ბოგაძეს მალაზიში.



მაცნობთ პატრეცემულს საზოგადოებას, რომ **იხმედება და ამ მოკლე ხანში** გამოვა პირველი **პარაკი** **განცხადებანი**, რომელიც პირველი გამოცემაა ჩვენში.

ჩვენ გვგონია ურიგო არ იქნებოდა, რომ აქამდისაც დაბეჭდილიყო ესეთი საამური საკითხავი წიგნი და ზღაპრული მოთხრობა უწინდელი გმირებისა და ფალავების — **შარამანის** და **ზარდანქეშანის** მოქმედებები. ბერს კი ჰსურდა ამ საამური წიგნის დაბეჭდვა, მაგრამ, წიგნის სიდიდისა გამო, ვერ ჰხედავდნენ, რადგანაც ამის დაბეჭდვას დიდი შრომა, ხარჯი და თავისუფალი დროც უნდოდა.

ჩვენ ვაგებდეთ ამ წიგნის გამოცემა სტ. მელიქიშვილის სტამბის ასოს-ამწყობით და მაშინისთ, **დ. ლაზარაძისა** და **ნ. კობალაძის** სტ. მელიქიშვილის შემწეობით.

ეს წიგნი შეადგენს თორმეტს კარს, ე. ი. თორმეტ ნაწილს. რადგანაც ჩვენ ვერ მოვახერხეთ, რომ სულ ერთიანათ დაგვებეჭდა ერთ წიგნათ, ამის გამო ჩვენ ვბეჭდავთ ნაწილ-ნაწილათ, ე. ი. თითო კარს.

პირველი კარი გამოვა თუ არა ბეჭდილდგან, შეიძლება მაშინვე გასყიდვა; და მას შემდეგ ვაგვარძლებთ ბეჭდვას მეორე კარისას და აგრეთვე მესამე კარისას; ამ გვარად, ვიდრე თორმეტ კარამდის სულ ცალ-ცალკე წიგნათ გამოვა და გაისყიდება.

ამ მოკლე ხანში, როცა „პირველი პარაკი“ ბეჭდვა შესრულდება, ჩვენ გამოვაცხადებთ ფასს, თუ როგორ ეღირება თითო წიგნი.

რ.პ. ზზა.	ლილა.	სალამ.	II კ.	III კ.	საქონლის გეგმები	ფოფა	ბირჟა	მან. კაპ.	გაზანდა	მან. კაპ.
თფილისი	1118	8			ა) შოთილამ:	ა) თფილისი დამ:	პეტერბურგი, 29 მაისს.		თფილისი, 2 ივნისს	
მცხეთა	1887	10			ბ) სოხუმიდამ:	ბ) შუთისი დამ:	ერთი მანეთი ლის:		პური შორაგალის ფთ.	120
ბორი	9139	143			შოთს — სამშაბათს, ღამით.	შოთისისა და შოთისაკენ — ყოველ დღე, კვირას გარდა.	ლონდონში 33 1/2 პენსი.	84	შერი ფუთი.	60
სურამი	152	430			შოთს — კვირას, გათენებისას.	შოთისისა და შოთისაკენ — ყოველ დღე, კვირას გარდა.	პარიჟში 34 1/4 სანტიმი.	89	ბამბა პრევენისა, ფუთი.	450
ბეჟათუბანი	345				შოთისი: I II III	შოთისისა და შოთისაკენ — ყოველ დღე, კვირას გარდა.	ბანკის ბილეთი 5%	99	— ამერიკისა, ფუთი.	665
შვირილა	649				სოხუმამი . 4 3 1	შოთისისა და შოთისაკენ — ყოველ დღე, კვირას გარდა.	მოგებიანი (პირველისესხი)	208	გაპენტილი ბამბა ფთ.	8
შუთისი	755				შერჩამი . 20 50 15 50 5	შოთისისა და შოთისაკენ — ყოველ დღე, კვირას გარდა.	მოგებიანი (მეორე სესხი)	203	მატული თუშური ფთ.	650
სამტრედია	9	2			ტაგანროგ. 34 27 8 60	შოთისისა და შოთისაკენ — ყოველ დღე, კვირას გარდა.	ბირაოს ფურცლები:		— თარაქისა ფთ.	360
აბ-სენაკი	10				მდესამი. 38 30 9 60	შოთისისა და შოთისაკენ — ყოველ დღე, კვირას გარდა.	თფილ. სააზნ. ბანკისა.	87	აბრეშუმი ნუხური გრ.	260
შოთი	11					შოთისისა და შოთისაკენ — ყოველ დღე, კვირას გარდა.	ხერსონის ბანკის (5 1/2)	86	შონი, ფუთი.	4
შოთი	738					შოთისისა და შოთისაკენ — ყოველ დღე, კვირას გარდა.	მოსკოვის (5%) . . .	50	შონის სათელი ფუთი.	560
აბ-სენაკი	911					შოთისისა და შოთისაკენ — ყოველ დღე, კვირას გარდა.	აკციები:		სტეარინის სათელი, ფ.	1020
სამტრედია	1012					შოთისისა და შოთისაკენ — ყოველ დღე, კვირას გარდა.	ლონდონის სავერო ბანკის.	215	ხორცი ძროხისა, ლიტ.	60
შუთისი	1117					შოთისისა და შოთისაკენ — ყოველ დღე, კვირას გარდა.	შოთი-თფილ. რკინ. გზის	133	— ცხვრისა, ლიტრა	70
შვირილა	1238					შოთისისა და შოთისაკენ — ყოველ დღე, კვირას გარდა.	შავიზღვის ცეცხ. გემების	560	სპირტი, ვედრო.	7
ბეჟათუბანი	327					შოთისისა და შოთისაკენ — ყოველ დღე, კვირას გარდა.	მაკაბის და შერკურის.	168	შაქარი, კარგი ფუთი.	84
სურამი	457					შოთისისა და შოთისაკენ — ყოველ დღე, კვირას გარდა.	პირგ. საზღვევ. საზოგ.	665	— უხვნილი ფუთი.	69
ბორი	723					შოთისისა და შოთისაკენ — ყოველ დღე, კვირას გარდა.	პეტერბ. საზღვევ. საზ.	263	შავა გრგვალის ფუთი.	185
მცხეთა	952					შოთისისა და შოთისაკენ — ყოველ დღე, კვირას გარდა.	მოსკოვის საზღვევ. საზ.	257	შეთი ქუჩუთისა ფთ.	65
თფილისი	1049					შოთისისა და შოთისაკენ — ყოველ დღე, კვირას გარდა.		58	მქრო 1/2 იმპერიალი.	58